მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2021 წელს შესრულებული საქმიანობის შესახებ

(2012 - 2021 წლების ფინანსური ანალიზი)

მესტია, 2022

კაპიტონ ჟორჟოლიანი

სარჩევი

შესავალი **3**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი **4**
შემოსავლები 4
გადასახდელები 6

შესყიდვები **7**

ინფრასტრუქტურა **9**
პროექტები 9
განათლების ინფრასტრუქტურა 14
სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა 15
სტიქია / პრევენცია 16
ურბანული განვითარება 17

ქონება **18**
მუნიციპალური ქონება 18
შეძენილი ქონება 21

მუნიციპალური სერვისები **22**
მიწის რეგისტრაცია 22
სახურავების პროგრამა 23
სოციალური დაცვა 25
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 27
მესტიის საავადმყოფო - ამბულატორიული გაერთიანება 28
სარეაბილიტაციო ცენტრი 28
მაღალმთიანობა 30
დასუფთავება 31

სკოლამდელი აღზრდა **34**

განათლება და ახალგაზრდობა **34**

კულტურა **37**

სპორტი **44**

ტურიზმი **47**

ადმინისტრაცია **51**

შიდა აუდიტი **53**

სტატისტიკა **53**

შესავალი

მოგესალმებით. წარმოგიდგენთ მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს 2021 წელს შესრულებული სამუშაოების შესახებ. ვფიქრობთ, აღნიშნული ანგარიში ორმაგად მნიშვნელოვანია რადგან გარკვეულწილად მოიცავს 2020 წლის ანგარიშსაც, რომლის წარდგენაც ქვეყანაში არსებული კოვიდ-პანდემიური შეზღუდვებიდან გამომდინარე ვერ შედგა. ამასთანავე, წინამდებარე ანგარიში განსხვავებულია თავისი კომპლექსურობით, ვინაიდან დოკუმენტში წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სფეროების მდგომარეობის ამსახველი საკითხების მრავალწლიანი ანალიზი, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ტენდენციები.

მოგეხსენებათ, რომ გასულ წელს პანდემიამ მიაღწია საყოველთაო პიკს და გამოიწვია რიგი შეფერხებებისა, რომელიც აისახა თითქმის ყველა საზოგადოებრივ პროცესზე, მათ შორის მუნიციპალიტეტის საქმიანობაზეც. თუმცა, არსებულ პანდემიურ მდგომარეობასთან გამკლავება 2020 წელთან შედარებით უკეთ შევძელით.

2021 წელი ჩვენთვის, ასევე, მნიშვნელოვანი იყო, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წელი. მსურს გამოვიყენო შესაძლებობა და მადლიერება გამოვხატო ჩვენი მოსახლეობის მიმართ, რომელმაც უკვე მესამედ გამომიცხადა ნდობა და დამაჯერებელი უმრავლესობით ამირჩია. დღეს, ისე, როგორც არასდროს, მესტიის მუნიციპალიტეტის თითოეული მკვიდრის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და კეთილდღეობა ჩემი და ჩვენი გუნდის უმთავრესი ამოცანაა. ჩვენი გადაწყვეტილებები, ინტერესები და საჯარო საქმიანობა ეფუძნება და მიმართულია სვანეთის შეუფერხებელი და გეგმაზომიერი განვითარებისკენ, რაც თავისთავად გულისხმობს ჩვენი ისტორიული თვითმყოფადობის და ავთენტურობის არა მხოლოდ შენარჩუნებას, არამედ გაძლიერებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გასული წელი იყო გამოწვევებით სავსე - შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მივაღწიეთ მრავალ წარმატებას როგორც ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებების, ისე სოციალურ, გარემოს დაცვით, კულტურისა და სპორტის სფეროებში.

სახელმწიფო და ადგილობრივი პრიორიტეტების თანხვედრამ არაერთი სასიკეთო შედეგი მოგვიტანა. სახელდობრ, თვალსაჩინოა მუნიციპალიტეტის წინსვლა შემოსავლების ზრდის კუთხით. მუნიციპალიტეტის ქონების მატებამ გამოიწვია ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემიდან მიღებული შემოსავლების ზრდა. გაგვიჩნდა გაზრდილი შესაძლებლობა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით განგვეხორციელებინა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიც არის საბავშვო ბაღების მშენებლობა, შიდა გზების მასშტაბური რეაბილიტაცია, სოციალური პროგრამების დივერსიფიკაცია და სხვა.

შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში მოკლედ შევაჯამეთ ის პროგრესი, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტმა განიცადა ბოლო წლების განმავლობაში. "მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2021 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ" წარმოადგენს საჯარო დოკუმენტს და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

საუკეთესო სურვილებით
კაპიტონ ჟორჟოლიანი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მესტიის მუნიციპალიტეტის შემოსულობების 2021 წლის გეგმა გახლდათ 27 021 700 ლარი, რეალურმა შემოსულობებმა შეადგინა - 27 689 500 ათასი ლარი (რაც გეგმის 103%-ა), 2020 წლიდან გადმოსული ნაშთი შეადგენდა 7 903 400 ლარს.

გადასახლელების 2021 წლის გეგმა 34 925 200 ლარი იყო, საიდანაც ათვისებულმა თანხამ ხაზინის მონაცემების მიხედვით შეადგინა 30 812 206 ლარი (გეგმის 88%).

შემოსავლები

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების გადაჭარბებით შესრულებას მოგახსენებთ მუხლობრივად:

- საგადასახადო შემოსავლების მუხლში (კლას.კოდი 11) 2021 წელს გეგმა განსაზღრული იყო - 14 936 400 ლარით, 2021 წელს აღნიშნული მუხლიდან შემოსავალმა შეადგინა 15 077 100 ლარი (101%), მათ შორის:
  - ქონების გადასახადი (კლას.კოდი 113) მუხლში გეგმა იყო 9 963 200 ლარი, შესრულება 10 042 4 000 ლარი;
  - გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე დამატებული ღირებულების გადასახადი (კლას.კოდი 114) მუხლში გეგმა იყო 4 973 200 ლარი, შესრულება 5 034,7 ათასი ლარი;
- "გრანტები" (კლას.კოდი 13) მუხლით დაგეგმილი იყო 10 338 900 ლარი, შესრულდა 10 291 100 ლარის ოდენობით (~100%). მათ შორის:
  - მიზნობრივი ტრანსფერის მუხლში დაგეგმილი იყო 884 200 ლარი, შესრულდა - 829 700 ლარის ოდენობით;
  - კაპიტალური ტრანსფერის მუხლში დაგეგმილი იყო 9 429 100 ლარი, შესრულდა - 9 435 800 ლარის ოდენობით;
  - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები დაგეგმილი იყო 25 700 ლარი, შესრულდა - 25 700 ლარის ოდენობით;
- ,,სხვა შემოსავლებიდან" (კლას.კოდი 14) შემოსულობების გეგმა - 1 746 500 ლარი, აღნიშნული მუხლიდანაც გეგმა გადაჭარბებით შესრულდა და შემოსავალმა შეადგინა 2 321 300 ლარი (133%) მათ შორის:
  - ბანკის პროცენტებიდან შემოსავალი გეგმა - 514 000 ლარი, შესრულება - 628 600 ლარი;
  - რენტა (მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებისთვის, წიაღით სარგებლობისთვის, ტყის ფონდით სარგებლობისთვის, შემოსავალი მიწის იჯარიდან) გეგმა - 1 072 500 ლარი, შესრულება 1 535 200 ლარი (144%) მათ შორის:
    - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის (ხე-ტყე და წიაღისეული) შესრულება - 1 246 700 ლარი (ხე-ტყის მოსაკრებელი - 1 242

200 ლარი, წიაღისეული - 2 000 ლარი, წიაღისეულით სარგებლობის მოსაკრებელი - 2 000 ლარი, სხვა არაკლასიფ.ბუნებრივ რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი - 2 100 ₾);

- მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა - 288 500 ლარი;

◆ საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან(დასუფთავება,სანებართვო მოსაკრებელი), შემოსავალი გეგმა - 110 000 ლარი,შესრულება- 109,9 ათასი ლარი (100%);

- სანებართვო მოსაკრებელი გეგმა - 40 000 ლარი, შესრულება - 24 000 ლარი;
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის გეგმა - 70 000 ლარი, შესრულება - 46 500 ლარი;
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება შემოსავალი - 39 400 ლარი (მანქანა დანადგარების შენობა-ნაგებობის იჯარა);

➔ სანქციების (ჯარიმები და საურავები) (კლას.კოდი 143) მუხლით შემოსავლების გეგმა იყო 50 000 ლარი, შესრულება შეადგენს - 47 100 ლარს (94%); (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის, სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო).

➔ ტრანსფერები რომლებიც არ არის კლასიფიცირებული (კლას.კოდი 144) მუხლით შემოსავლების გეგმა არ იყო განსაზღრული შემოსავალმა შეადგინა - 500 ლარს.



გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრაგრემის მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შესაბამისობას შემდეგი სახე აქვს:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (ორგ.კოდი 01 00) 2021 წლის გეგმა - 5 575 800 ლარი, ათვისება - 5 236 300 ლარი (94%). მათ შორის:
  - 2021 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი (ორგ.კოდი 01 03) წარმოდგენილი იყო 497,6 ათასი ლარით, რომელიც გამოყოფილ და ათვისებულ იქნა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.
  - წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (ორგ.კოდი 01 04) გეგმა - 388 700 ლარი, ათვისება - 371 700 ლარი (96%) მათ შორის:
    - მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვის (ორგ.კოდი 01 04 02) გეგმა- 388 700 ლარი, ათვისება - 371 700 ლარი (96%)მათ შორის:
      - პროცენტის გეგმა -136,2 ათასი ლარი, ათვისება-- 129,3 ათასი ლარი;
      - ვალდებულების კლების გეგმა- 252,5 ათასი ლარი, ათვისება-- 242,4 ათასი ლარი;

    პროგრამის აღწერა: პროგრამის მიზანია მუნიცპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული სესხის დაფარვა.
  - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (კლასიფ.კოდი 01 05) გეგმა - 96 600 ლარი, ათვისება - 96 400 ლარი (~100%)

    პროგრამის აღწერა: აღნიშნული პროგრამის მთავარი მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების ხელშეწყობა, მესტიის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.
  - საგანგებო ბიუჯეტი (კლასიფ.კოდი 01 06) გეგმა - 50 000 ლარი, ათვისება - 11 400 ლარი (23%).
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (ორგ.კოდი 02 00) გეგმა - 22 014 800 ლარი, ათვისება - 18 764 054 ლარი (87%);
- დასუფთავება და გარემოს დაცვა (ორგ.კოდი 03 00) გეგმა - 1 573 400 ლარი, ათვისება - 1 573 100 ლარი (100%);
- განათლება (ორგ.კოდი 04 00) გეგმა - 2 497 600 ლარი, ათვისება - 2 192 200 ლარი (88%);
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (ორგ.კოდი 05 00), გეგმა იყო 2 302 300 ლარი, საიდანაც ათვისებულია 2 024 700 ლარი (88%);
- მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (ორგ.კოდი 06 00) გეგმა - 961 300 ლარი, ათვისება - 943 900 ლარი (98%).

2021 წლიდან გარდამავალი ნაშთი შეადგენს 5 006 700 ლარს. 2021 წლის მთლიანი სალდოს გეგმის მაჩვენებელია - 7 650 900 ლარს, ფაქტიური მაჩვენებელი კი - 3 088 400 ლარს შეადგენს.



შესყიდვები

მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ, 2021 წელს, გამოცხადდა 17 630 135 ლარის ჯამური ღირებულების **ტენდერები** (სულ: 80 ტენდერი). აქედან დადებითი შედეგით დასრულდა და ხელშეკრულება გაფორმდა 16 192 712 (შეთანხმების აქტით დამატებული თანხების ჩათვლით) ლარის შესყიდვაზე (61 ტენდერი). წლის განმავლობაში ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომია შეადგენს 1 437 426 ლარს.

2021 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერები წარმოადგენს მრავალწლიან შესყიდვას და სახელშეკრულებო ღირებულები მოიცავს მომდევნო წლების ბიუჯეტის თანხებსაც.

შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ, 2021 წელს ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთა 207 ხელშეკრულება (ელ. ტენდერი - 61, კონსოლიდირებული ტენდერი - 10, გამარტივებული შესყიდვები - 136) და მასთან დაკავშირებული დოკუმენტი. ასევე, ერთიან ელექტრონულ სისტემაში იტვირთება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებიც.

დიაგრამა #3. გამოცხადებული ტენდერების შესრულება: 2012-2021 წწ.



დიაგრამა #4. გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდ.: 2014-2021 წწ.



დიაგრამა #5. გადაუდებელი აუცილებლობის ნებართვები: 2015-2021 წწ.



ინფრასტრუქტურა

2021 წელს მესტიის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისთვის დაიხარჯა 18 764 054 ლარი, რაც 4 716 000 ლარით (34%-ით) აღემატება 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

პროექტები

2021 წელს **საავტომობილო გზებისა და ხიდების** რეაბილიტაციასა და კეთილმოწყობაზე 2020 წელთან შედარებით 50,5%-ით ანუ 3 757 327 ლარით მეტი დაიხარჯა და შესრულებულ სამუშაოთა მოცულობამ 11 232 539 ლარი შეადგინა.
გაგრძელდა 2019-2020 წლებში დაწყებული **მრავალწლიანი პროექტები**, მათ შორის:

- **დაბა მესტიაში 5800 მეტრის საერთო სიგრძის ქუჩების (15 ქუჩა)** რეაბილიტაცია, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 6 198 658 ლარს შეადგენს, 2021 წელს შესრულდა გეგმით განსაზღვრული 2 294 843 ლარის სამუშაოები და წლის ბოლოსთვის მთლიანი პროექტის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობამ 85,5% შეადგინა. პროექტი სრულად 2022 წლის აგვისტოში უნდა დასრულდეს.

ქ. ფალიანის ქუჩა

ა. ხერგიანის ქუჩა

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტი დაიგეგმა 2019 წელს. ამ საუშაოების შესყიდვა, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა 2019 წელს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებული პანდემიური პირობებიდან გამომდინარე, სამშენებლო მასალების ფასის ცვლილებებმა გამოიწვია პროექტის საწყისი ღირებულების ზრდა. მოგეხსენებათ, მესტიის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუდმივად ხორციელდებოდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, ხოლო **დაბა მესტიისთვის** ეს გახლავთ მიმდინარე წლების მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი.

გ. ჯაფარიძის ქუჩა

ნ. ჯაფარიძის ქუჩა

➔ **მულახის** ტერიტორიულ ერთეულში **მაჯვდიერიდან ჟაბეშამდე საავტომობილო გზის მშენებლობასა და რკინაბეტონის საფარის** დაგებაზე დაიხარჯა 1 249 260 ლარი (საერთო ღირებულება: 1 715 747.41 ₾).

მულახი, საავტომობილო გზა მაჯვდიერიდან ჟაბეშამდე

➔ **ზარგაშის ქუჩის მშენებლობაზე** კი შესრულდა 606 420 ლარის სამუშაოები (საერთო ღირებულება: 1 468 779 ₾);

➔ გაგრძელდა **ცხუმარის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრამდე მისასვლელი საავტომობილო გზის მშენებლობა**, შესრულებულ სამუშაოთა მოცულობამ 2 182 076 ლარი შეადგინა, რაც გეგმიურ მაჩვენებელს 9%-ით აღემატება (საერთო ღირებულება: 4 273 052 ₾);

➔ **დამთავრდა რაშიბ ნაკანის ქუჩის რეაბილიტაცია**, შესრულდა 1 200 895 ლარის სამუშაოები (საერთო ღირებულება: 2 044 895 ₾);

2021 წელს დავიწყეთ:

- **წვირმის, ეცერის** და **ლენჯერის** გზების (საერთო სიგრძე - 5 კმ) მშენებლობა, რომელიც საკუთარი შემოსავლებიდან ჯამში დაფინანსდა 1 091 177 ლარით.
  - ლენჯერის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ. ლაშთხვერისა და სოფ. ქაშვეთის სამანქანო გზის რეაბილიტაცია - 588 531 ლარი (საერთო ღირებულება: 647 269 ₾);
  - ეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური გზიდან სოფელ ბარშამდე დაიწყო გზის (2044 მ.) რეაბილიტაცია - 1 170 742 ლარი. პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2022 წლის დეკემბერში (საერთო ღირებულება: 1 187 664 ₾);
  - წვირმის გზა (საერთო ღირებულება: 2 374 689 ₾).
- **ადგილობრივი გზების** მოვლა-პატრონობაზე დაიხარჯა 329 999 ლარი.
- აშენდა 672 597 ლარის **გზის საყრდენი კედლები.**

ასევე,

- სოფელ ჭუბერში აშენდა **დევრასთან დამაკავშირებელი ხიდი** (საერთო ღირებულება: 792 170 ₾);
- **იდლიანის დაკიდული ხიდის** მშენებლობაზე შესრულდა 329 526 ლარის სამუშაოები (საერთო ღირებულება: 1 375 000 ₾).

დევრასთან დამაკავშირებელი ხიდი, ჭუბერი

მესტიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის **სასმელი წყლით უზრუნველყოფის** გაუმჯობესების მიზნით, 2021 წელს, დაიხარჯა 488 924 ლარი:

- დაიწყო **სოფელ ადიშის წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა** (ღირებულება: 644 478 ₾);

- მოწესრიგდა ლატალში **სოფელ იენაშის წყლის სისტემა** (ღირებულება: 122 510 ₾).

ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვისა და **სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების** მიზნით დაფინანსდა 642 329 ლარის სამუშაოები:

- სპორტული მოედნები აშენდა ლატალისა და ფარის ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა დაბა მესტიის სპორტულ კომპლექსს (საერთო ღირებულება: 149 701 ₾);
- გრძელდება ნაკრის სპორტული დარბაზის მშენებლობა - 97 413 ლარი.

ამასთანავე,

- 2021 წელს დავიწყეთ **ლენჯერის მრავალფუნქციური შენობის** მშენებლობა - შესრულდა 146 214 ლარის სამუშაოები (საერთო ღირებულება: 282 553 ₾);
- „განახლებული რეგიონების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაიწყო **დაბა მესტიაში სკვერის მშენებლობა თამარ მეფის ქუჩაზე** და მიმდინარეობს მერიის შენობის ფასადის რეაბილიტაცია (ღირებულება: 234 080 ₾);
- მესტიის საავადმყოფოში, პანდემიასთან ბრძოლის ღონისძიებების გასატარებლად მოეწყო **ბოქსირებული პალატები** (ღირებულება: 61 500 ₾).

სპორტული მოედნები

2021 წელს შევიძინეთ ექსპერტიზა გავლილი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (ორი პროექტი, დოკუმენტაციის ღირებულება - 130 350 ₾).

ხარისხის კონტროლის მიზნით, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობაზე ჩატარებულ **საზედამხედველო საექსპერტო მომსახურებისთვის** გაღახდილ იქნა 287 570 ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს დაიგეგმა დაბა მესტიაში ისტორიული უბნის **ლაღამის რეაბილიტაცია** - შემუშავებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის ღირებულება შეადგენს 33 000 000 ლარს.

შეჯამებისთვის, ქვემოთ იხილეთ ერთი მხრივ ინფრასტრუქტურული ხარჯების კატეგორიზებული ცხრილი (#1), ხოლო მეორე მხრივ დიაგრამაზე (#6) ინფრასტრუქტურული ხარჯების დინამიკა 2012 წლიდან 2021 წლის ჩათვლით.

ცხრილი #1: ინფრასტრუქტურული ხარჯები კატეგორიების მიხედვით 2021

N	ინფრასტრუქტურული ხარჯები: კატეგორია	2021 წელს დაფინანსებული თანხა (ლარი)	მ.შ	
			ცენტრ. ბიუჯეტი	ადგ. ბიუჯეტი
02 00	**ინფრასტრუქტურა**	16 355 810	9 670 370	6 685 440
02 01	**გზების და ხიდების რეაბილიტაცია**	11 232 539	8 053 720	3 178 819
02.01.01	**ა/. მ.შ. გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია**	9 721 936	6 846 420	2 875 516
02.01.02	**ბ/. ხიდების მშენებლობა**	1 510 603	1 207 300	303 303
02.02	**წყლის სისტემების რეაბილიტაცია**	488 924	82 650	406 274
02.03	**მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა**	851 135		851 135
02.04	**სარწყავი არხების, ნაპირსამაგრების მშენებლობა**	417 920		417 920
02.05	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**	2 406 657	1534 000	869 657
02.07	**სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია**	961 635		961 635
	ზედამხედველობა და საპროექტო დოკუმენტაცია	417 920		417 920



განათლების ინფრასტრუქტურა

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური მუდმივ კოორდინაციაში იმყოფება ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ერთეულებთან და სისტემატურად იღებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე ისეთი სამშენებლო ობიექტებიდან, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი თუ რეგიონალური განვითარების სააგენტო ახორციელებს. შესაბამისად ვმონაწილეობთ, მიმდინარე პრობლემური საკითხების გადაჭრაში.

მესტიის მუნიციპალიტეტში, 2021 წელს დასრულდა ახალი საბავშვო ბაღების - **ჭუბერი (ცენტრი), ლახამი (ჭუბერი), ჟაბეში (მულახი) -** მშენებლობა

ამ ეტაპზე მიმდინარეობს, 2021 წელს დაწყებული საბავშვო ბაღების - **ჭოლაში (მულახი), დაბა მესტია** და **მაზერი -** მშენებლობა. ექვსივე ბაღის მშენებლობას ახორციელებს მუნიციპალური განვითარების ფონდი და თითოეულის სატენდერო ღირებულება შეადგენდა **810 000 ლარს**.

2021 წელს, ასევე, დაიწყო სამი ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა:

- **ჭუბერის (ცენტრი)** საჯარო სკოლა - 2 430 000 ლარი
- **ყარ-სგურიშის** საჯარო სკოლა - 2 430 000 ლარი;
- **ბეჩოს სკოლა** - 2 402 000 ლარი.

2022 წელს დაიწყება ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა **იფარის** ადმინისტრაციულ ერთეულში.

სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა

2021 წელს, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში

მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის განკარგულებით მესტიის მუნიციპალიტეტისათვის განისაზღრა 1 534 000 ლარი. მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით ჩაატარა დასახლების საერთო კრებები მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულის (გარდა დაბა მესტიისა) სოფლებში. საბოლოოდ, პროეტის ფარგლებში გაფორმდა 125 ხელშეკრულება.

2021 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებული პროექტებიდან მოხდა თანხის 95%-იანი ათვისება. 2021 წლის საკასო შესრულება შეადგენს 2 403 400 ლარს; აქედან სახელმწიფო დაფინანსება 1 563 262 ლარი ხოლო, მესტიის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებამ შეადგენა 840 138 ლარი.

2021 წელს კატეგორიების მიხედვით შემდეგი პროექტები დაფინანსდა:

- **ხიდების და შიდა სასოფლო გზების** რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა - 1 142 691 ლარი (47,8%);
- **წყლისა და წყალარინების სისტემების** მოწესრიგება 597 053 ლარი (24,8%);
- **გარე განათება და ელგადამცემი ხაზების მოწესრიგება** - 335 953 ლარი (14%);
- **სკვერების და სპორტული ინფრასტრუქტურის** კეთილმოწყობა - 139 585 ლარი (13%).

მუნიციპალიტეტში შემავალმა თემების ნაწილმა გააერთიანა და სათემო პროექტებს მიანიჭა უპირატესობა, რაც წარმატებით განხორციერლდა საგრანტო კონკურსებით მოპოვებული დამატებითი თანხების მოძიებითა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020-2021 წლებში განხორციელდა **მონაწილეობითი მონიტორინგის პროექტი**. სათემო პროექტების განხორციელების დროს შეიქმნა ჯგუფი და მონიტორინგი გაეწია ოთხ თემში (ფარი, ცხუმარი, წვირმი, კალა) განხორციელებულ პროექტებს. პროექტი დააფინანსა „ევროპის ფონდმა" და განახორციელა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ, PMCG კვლევითი ცენტრთან და ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან (LAG) ერთად. პროგრამის ფარგლებში ასევე მიმდინარეობდა წინასწარი საპროექტო განცხადებების მიღება, რომელთაც შემდგომ დასახლების საერთო კრებაზე თავად ავტორები წარადგენდნენ. დადგენილ ვადაში, მერიაში სხვადასხავა თემებიდან შემოვიდა 42 წინასწარი საპროექტო განაცხადი. განხორციელებული პროექტი დონორი ორგანიზაციების მიერ სამოქალაქო ჩართულობის საუკეთესო ქართულ პრაქტიკად იქნა აღიარებული, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებთან ერთად.

ქვემოთ სვეტოვან დიაგრამაზე (#7) იხილავთ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ხარჯებს 2012 წლიდან 2021 წლამდე, სადაც ყვითელ ფერში მოცემულია დაფინანსება სახელმწიფოსგან, ხოლო ლურჯ ფერში მოცემულია მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება. როგორც მოგეხსენებათ, 2017 - 2018 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამა იყო შეჩერებული. შესაბამისად, დიაგრამაზე მოცემული გახარჯული თანხები ამ წლებში გახლავთ წინა წლის ნაშთებიდან გახარჯული თანხების მოცულობა.



საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებისა და მსოფლიო პანდემიის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად საგანგებო სიტუაციების პირობებშიც კი არ შეიზღუდა ინფრასტრუქტურული და სამშენებლო პროექტების წარმოება, სამშენებლო კომპანიებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ და ხელი შეეშალათ პროექტების წარმატებით განხორციელების საქმეში. აღნიშნულის გამო, ხშირ შემთხვევაში დროულად ვერ დამთავრდა სამშენებლო სამუშაოები და საჭირო გახდა ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა, სამუშაოთა მიწოდების ვადის გაგრძელების, ხარჯთღრიცხვის და გეგმა-გრაფიკის კორექტირების მიზნით. ვერ დამთავრდა დაბა მესტიის ქუჩების რეაბილიტაცია და მისი მშენებლობა. ასევე ვერ დამთავრდა 2019 წელს დაწყებული ცხუმარის საბავშვო ბაღის მშენებლობა. სამშენებლო მასალების ფასების ზრდის გამო სამშენებლო კომპანიები თავს იკავებდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობისაგან და რამდენიმე მათგანი ჩაიშალა.

სტიქია / პრევენცია

2021 წელს, მესტიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში სტიქიის შედეგების თავიდან აცილების მიზნით განხორციელდა ღელეების საპრევენციო განტვირთვა და დამცავი ჯებირების მშენებლობა 344 626 ლარის ღირებულებით, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენას კი მოხმარდა 745 837 ლარი.

დაიწყო 2021 წელს **სოფ. ჟაბეშში (მულახი) სტიქიის შედეგად დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენა**.

2021 წლის აპრილის თვეში **სტიქიის** შედეგად სოფ. მულახში დაზიანდა ინფრასტრუქტურა (ხიდები, შიდა სასოფლო გზები, მოსახლეობის კუთვნილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთები). დაზიანებული ინფრასტრუქტურას აღდგენისა და შემდგომ პერიოდში სტიქიის პრევენციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 438 955 ლარია. რომელიც დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.

2021 წლის 4 ივლისის სტიქიის შედეგების ზარალის შემსწავლელმა კომისიამ დაადგინა, რომ მუნიციპალიტეტის თემებსა და დაბა მესტიაში დაზარალდა 120 ოჯახი (დაზიანებული სახურავების საერთო ფართობი - 9467 კვ.მ.). შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიების სახით, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა სახურავის შეძენა 330 000 ლარით.

სტიქიის პრევენციის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი თანხები განისაზღვრება სარეზერვო ფონდიდან. პრევენციული ღონისძიებებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გათვალისწინებულია 300-350 ათასი ლარი.

ურბანული განვითარება

„მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების“ შესაბამისად, 2021 წლის განმავლობაში სულ ჩატარდა საბჭოს 5 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 39 საკითხი.

2021 წელს განმავლობაში მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებულ საკითხებზე ჯამში მომზადდა 62 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი/ბრძანება.

- ➔ **მშენებლობის ნებართვა გაიცა 25 ობიექტზე** (2020 წელს გაცემულ იქნა 25 ნებართვა) მათ შორის:
  - 10 საცხოვრებელი სახლი;
  - 2 საოჯახო სასტუმრო/სასტუმრო;
  - 1 ჰიდროელექტროსადგური (კასლეთი ჰესი 7,6 მვტ).
  - 6 საბავშვო ბაღი;
  - 1 ავტოგასამართი სადგური;
  - სხვა ობიექტები: 5 (კომერციული ცენტრი; ბრიკეტების საამქრო; ფერმა; სადგომი).
- ➔ **ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა** 6 ობიექტი (2 საცხოვრებელი სახლი; 1 სასტუმრო; 1 კომერციული ცენტრი; შპს „მაგთიკომის“ 2 საბაზო სადგური).
- ➔ შეთანხმებულ იქნა **პირველი კლასის** 12 ობიექტის მშენებლობა;

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციი ან ბორთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვებზე მოსაკრებელი მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2021 წლის განმავლობაში შემოვიდა 23 996 ლარი (2020 წელი - 132 464,45 ₾).

ქონება

მუნიციპალური ქონება

2022 წლის პირველი იანვრის მონაცემებით, მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საერთო რაოდენობაა შეადგენს 384-ს, ხოლო მათგან 133 (34.6%) არის გადაცემული მართვაში მეტწილად აღნაგობის ხელშეკრულებით. შესაბამისად, 251 (65.4%) ერთეული მუნიციპალური მიწა იმართება მუნიციპალიტეტის მიერ (დიაგრამა #8).



გარდა ამისა, მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება თემების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად (დიაგრამა #9):

დიაგრამა #9. მუნიციპალური ქონება თემებში (რაოდ.) - სულ 384



ქვემოთ ცხრილში კი იხილავთ დიაგრამას #10, სადაც ასახულია მუნიციპალური მიწების ფართობის მიხედვით განაწილება მესტიის თემებში.

დიაგრამა #10. მუნიციპალური ქონება ფართობის მიხედვით (კვ.მ.) - სულ 1,114,333 (111,4 ჰა)



2021 წელს **ოჯარით** სარგებლობაში გადაცემული გახდა 86 ერთეული არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ხოლო გასულ წელს დამატებით გაიცა 45 ერთეული (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის ოჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა, აღნაგობა და სხვა)). გადაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 288 500 ლარი, რაც წინა წლის მონაცემს აღემატება 90 600 ლარით.



ოჯარის რეალური შემოსავლები ბიუჯეტურად წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის ოჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა თუ სხვა) გაცემიდან მიღებული შემოსავლისა და სახელმწიფო მიწის ოჯარიდან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან (რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე და არ არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში) მიღებული შემოსავლის ჯამს. მოცემული შემოსავლები მუნიციპალური მიწების აღნაგობით გადაცემიდან დაკავებულია ჰიდროელექტროსადგურებით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ **ეს შემოსავლები გაჩნდა სწორედ ახალი ჰიდროელექტროსადგურების შექმნასთან ერთად**. ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ ოჯარიდან (მშ აღნაგობიდან) ნომინალური შემოსავლების რეიტინგი თემების მიხედვით.



შეძენილი ქონება

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ 2021 წლის მანძილზე მოახდინა 7 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესყიდვა და გააფორმა **7 ნასყიდობის** ხელშეკრულება. მათგან 2 მიწა ბეჩოსა და იფარში (ადიში) შესყიდულ იქნა საბავშვო ბაღების მოსაწყობად, 3 მიწა დაბა მესტიასა (დაბდერი, თეთნაში) და ცხუმარში (ღვებალდი) შესყიდულ იქნა სარეკრეაციო პარკის მოწყობის მიზნით, 1 მიწა დაბა მესტიაში (დაბდერი) შესყიდულ იქნა სასაფლაოს მოწყობის მიზნით, ხოლო 1 მიწა დაბა მესტიაში (ლენჰარი) შეძენილ იქნა გზისთვის. სულ 2021 წელს ამ მიზნობრიობებით დახარჯულ იქნა **451 027 ლარი**, რაც 2020 და 2019 წლის მონაცემებთან (424 970 ₾ / 34 000 ₾) შედარებით შესაბამისად 26 057 და 417 027 ლარით მეტია (დეტალური ინფორმაცია - ცხრილი #2).

ცხრილი #2. მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი ქონება 2019-2021 წწ.

ხელშეკრ. თარიღი	ხელშეკრ. ნომერი	ნასყიდობის აღწერა	მიზნობრიობა	საკადასტრო კოდი, თემი	თანხა, ფართობი
03.09.2021	13	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საბავშვო ბაღის მშენებლობის მიზნით	42.09.33.539 ბეჩო	26 081.00 ₾ 393 კვ.მ.
01.09.2021	12	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით	42.10.31.019 ცხუმარი (ღვებალდი)	31 120.00 ₾ 389 კვ.მ.
20.05.2021	8	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სარეკრეაციო პარკის მოწყობის მიზნით	42.06.46.301 დ. მესტია	125 000.00 ₾ 2500 კვ.მ.
19.02.2021	4	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სასაფლაოს მოწყობის მიზნით	42.06.35.116 დ. მესტია (დაბდერი)	32 600.00 ₾ 815 კვ.მ.
10.02.2021	2	სასოფლო-სამეურნეო	სარეკრეაციო პარკის	42.06.46.291	81 600.00 ₾

		დანიშნულების მიწის ნაკვეთი	მოწყობის მიზნით	დ. მესტია (თეთნაში)	1632 კვ.მ.
27.01.2021	1	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	გზისთვის	42.06.47.928 დ. მესტია (ლენჰარი)	69 986.00 ₾ 856 კვ.მ.
22.12.2020 /2021	52	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის	42.04.33.312 იფარი (აღიში)	84 640.00 ₾ 1058 კვ.მ.
18.12.2020	51	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის	42.05.37.772 მულახი (ცალღაში)	144 600.00 ₾ 1205 კვ.მ.
17.12.2020	50	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სარეკრეაციო პარკის მოწყობის მიზნით	42.06.46.726 დ. მესტია	172 350.00 ₾ 3447 კვ.მ.
10.12.2020	49	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის	42.09.33.513 ბეჩო	73 200.00 ₾ 1103 კვ.მ.
27.05.2020	45	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ამბულატორიის მშენებლობისთვის	42.14.44.099 ნაკრა	13 700.00 ₾ 685 კვ.მ.
06.02.2020	41	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	წყლის რეზერვუარისთვის განკუთვნილი	42.11.35.147 ეცერი (ისკარი)	21 120.00 ₾ 1056 კვ.მ.
07.06.2019	52	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სპორტული მოედნის მოწყობის მიზნით	42.09.31.299 ბეჩო (უშვნარაი)	6 000.00 ₾ 291 კვ.მ.
28.03.2019	44	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საბავშვო ბაღის მშენებლობის მიზნით	42.15.32.138 ჭუბერი	25 000.00 ₾ 2400 კვ.მ.

მუნიციპალური სერვისები

მიწის რეგისტრაცია

2021 წელს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული **თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის** მიერ, სულ ჩატარდა 10 სხდომა, შეიქმნა 10 ოქმი (ჯამში 80 განცხადება). ქვემოთ იხილავთ მოქალაქეების საკუთრების უფლების აღიარების სტატისტიკას 2018-2021 წლებში (ცხრილი #3).

მიწის აღიარების კომისიის მიერ რეგისტრაციაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზებია: 1) საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ - მესამე მუხლის მეორე ნაწილი; 2) მიწის ნაკვეთზე განცხადების შემოტანის დროს, აღნიშნული ნაკვეთი არ აკმაყოფილებდა თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების წესის მოთხოვნებს (უნაგებო, არამომიჯნავე); 3) განცხადებისათვის სავალდებულო თანდართული

დოკუმენტების (2 მოწმის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, მერის წარმომადგენლისგან ცნობა) წარმოუდგენლობა.

ცხრილი #3. მიწის აღიარების კომისიაში შემოსული განცხადებების სტატისტიკა 2018-2021 წწ

წელი	მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი (კვ.მ)	სხდომების რაოდენობა	დადებითი გადაწყვეტილება	უარყოფითი გადაწყვეტილება
2018	155,469	22	175	202
2019	1,656,637	40	362	592
2020	578,883	12	138	24
2021	259,066	10	59	17

მოგახსენებთ, რომ 2021 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან მიწის რეგისტრაციის მოთხოვნით მერის წარმომადგენლებთან დარეგისტრირდა სულ 2045 განცხადება, რომელთაგან 1639 დაკმაყოფილდა, ხოლო 408 განცხადება უკან დაბრუნდა კანონში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე.



სახურავების პროგრამა

მესტიის მუნიციპალიტეტში, არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების **გადასახური მასალით დახმარების პროგრამა** 2018 წელს დავიწყეთ და 2021 წელსაც აქტიურად მიმდინარეობდა.

როგორც მოგეხსენებათ, პროგრამა ითვალისწინებს არსებული საცხოვრებელი სახლების, სვანური საცხოვრებელი სახლების (მაჩუბი), სასაქონლე შენობების ავარიული სახურავების რეაბილიტაციას, აგრეთვე ახალაშენებული შენობების, მათ შორის, კომერციული ფართების გადასახური მასალის შეძენის მიზნით თანადაფინანსებას.

აღნიშნული პროგრამის დინამიკა წლების მიხედვით მოცემულია დიაგრამა #14-ზე:



სოციალური დაცვა

2021 წელს, სოციალური დაცვის პროგრამების ფარგლებში მოგვმართა 1603-მა (აქედან 38 განცხადება განსახილველად გადმოვიდა 2020 წლის ბაზიდან) მოქალაქემ. კატეგორიების მიხედვით დახმარება გაეწია 1423 განმცხადებელს - 788 231.53 ლარის ოდენობით.



1. მარჩენალდაკარგულ ოჯახებსა და შშმ. ბავშვების კატეგორიით დახმარება გაეწია 10 განმცხადებელს 1 000 ლარით.
2. შშმ ბავშვთა/პირთა დახმარების კატეგორიებით დახმარება გაეწია 3 განმცხადებელს - 300 ლარის ოდენობით.
3. ახალშობილების კატეგორიით კი დახმარება გაეწია 129 მოქალაქეს - 31 600 ლარით.
4. მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი ხუთი და მეტი შვილი: 12 განმცხადებელი - 1 800 ლარი.
5. სოციალურად დაუცველის ან იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსის მქონე მძიმე ავადმყოფების (მათ შორის შშმ პირის) დიაგნოსტიკის, მკურნალობის, ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისათვის ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების ერთჯერადი თანადაფინანსების პროგრამით დახმარება გაეწია 750 განმცხადებელს 309 787.70 ლარის ოდენობით.
6. ხანდაზმულების დახმარების კატეგორიით 18 განმცხადებელი - 2 700 ლარის ოდენობით.
7. ომის მონაწილე ვეტერანებსა და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებზე დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია 29 განმცხადებელს 3250 ლარის ოდენობით.
8. დიალიზით მოსარგებლე და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 19 განმცხადებელს 19 000 (ცხრამეტი ათასი) ლარის ოდენობით.
9. ონკოლოგიურ ავადმყოფებზე და ფსიქიკურად დაავადებულ პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 176 განმცხადებელს 88157.12 ლარის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯების (დევნილთა და ვეტერანთა) ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 0 განმცხადებელს 0

ლარის ოდენობით. C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსების კატეგორიით დახმარება გაეწია 0 განმცხადებელს 0 ლარის ოდენობით, რადგან C ჰეპატიტის მკურნალობის პირველადი გამოკვლევის ეტაპიც 2021 წელს შევიდა სახელმწიფო პროგრამაში.

10. სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან ომის მონაწილე ვეტერანი ავადმყოფების ქირურგიული ოპერაციების ერთჯერადი თანადაფინანსების კატეგორიით დახმარება გაეწია 150 განმცხადებელს 108445.71 ლარის ოდენობით.
11. სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა დახმარების კატეგორიით ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 7 განმცხადებელს 6970 ლარის ოდენობით.
12. სტიქიით (მათ შორის – ხანძარი) დაზარალებულ ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 120 განმცხადებელს 167 000 ლარის ოდენობით.
13. უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში (2020-2021 წ.წ.) დაკმაყოფილდა ერთი უსახლკარო ოჯახი (ფართობი 50 კვ.მ. 2 სულიანი ოჯახი) განცხადება N437 21/02/2020 წ. გადაწყვეტილების ოქმი N1 05/10/2020 წ. საწყისი თანხა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი, აღნიშნული ოჯახის კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი ფართის სატენდერო თანხამ საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე ეტაპობრივად განიცადა ცვლილება და საბოლოოდ შეადგინა 48 221 ლარი (აქედან 15 000 ლ. გამოყოფილი იყო 2020 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან პ/კ-06 06, რაც ნაშთის სახით გადავიდა 2021 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით სოციალური უზრუნველყოფის მუხლში და დარჩენილი თანხა 33 221 ლარი გადაირიცხა 2021 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან).

ამასთან, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უშუალო ჩართულობით და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მესტიის ფილიალის მოხალისეების დახმარებით, ქვეყანაში არსებული კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე 2020- 2021 წწ. განმავლობაში 1360 ოჯახს დაურიგდა ადგილობრივი თვითთმმართველობის მიერ შეძენილი პირველადი მოხმარების პროდუქტი (მათ შორის ფქვილი, მედიკამენტები) და ჰიგიენური საშუალებები (ღირებულება: 197 599 ₾). ასევე, წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ შეძენილი ტანსაცმელი აპრილის თვეში დაურიგდათ მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ შშმ პირებს (179 ბენეფიციარი).

დიაგრამა #17. ერთ ბენეფიციარზე დახარჯული საშუალო თანხა სოციალურ პროგრამებში: 2013-2021 წწ.



საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

2021 წელს გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მიზნით ა(ა)იპ "მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" პროფილაქტიკურ და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებდა უშუალოდ დაავადების კერაში, ასევე სამედიცინო დაწესებულებებში და მოსახლეობაში აქტიური ეპიდზედამხედველობის გზით.

ეპიდემიური კონტროლირების მიზნით სისტემატიურად წარმოებდა ეპიდსიტუაციის ანალიზი. განსაკუთრებით საშიში ინფექციების შემთხვევები არ დაფიქსირებულა. ეპიდემიოლოგიურად შესწავლილია კვლევას დაქვემდებარებული ინფექციური დაავადებები.

COVID19 პანდემიასთან მიმართებით მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებდა AG სწრაფ ტესტირებას, PCR (მაღალტექნოლოგიურ) კვლევას და ყველა კოვიდინფიცირებულ პირთან უშუალო კომუნიკაციას შემდგომი მართვის მიზნით - ხდებოდა კონტაქტირებულთა რისკების შეფასება.

2021 წელს, მესტიის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა 1358 კოვიდინფიცირებული, მოძიებულია 1523 ახლო კონტაქტი. წლის განმავლობაში ჩატარდა 5315 სწრაფი ტესტირება და 2120 PRC კვლევა.

ეპიდზედამხედველობის პროგრამის ფარგლებში შესწავლილია ტუბერკულოზის 11 კერა, ცოფის რისკის მქონე 153 ექსპოზიცია, 19 სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა და სოკოთი მოშხამვის 28 შემთხვევა. ვირუსული ჰეპატიტი C კონფირმაციული კვლევა ჩატარებული და დადასტურებული აქვს 5-ს (C ჰეპატიტის მიღევნების პროგრამის ფარგლებში). მკურნალობაში ჩაერთო 5.

2021 წლის მანძილზე ჩატარდა სულ COVID19-ის 2830 აცრა, მათ შორის პირველი დოზით აიცრა 1453, მეორე დოზით აიცრა 1309, ხოლო მესამე დოზით აიცრა 68.

სეზონური გრიპის ვაქცინით აიცრა 730 ადამიანი, მათ შორის სამედიცინო პერსონალი, შაქრიანი დიაბეტის მქონე პირები, ორსულები, ზოგადსაგანმანათლებლო და ადრეული სკოლამდელი აღზრდის პერსონალი და სხვა რისკ ჯგუფის კონტინგენტი.

მესტიის საავადმყოდო - ამბულატორიული გაერთიანება

შპს "მესტიის საავადმყოფო - ამბულატორიული გაერთიანების" 2021 წლის ფაქტიური ბიუჯეტი გახლდათ 1 215 962 ლარი. აქედან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსურ დახმარებას წარმოადგენდაა 119 500 ლარი. სსიპ "ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს" სპეც. დაფინანსების დამატებითი კომპონენტიდან მესტიის საავადმყოფომ მიიღო 468 000 ლარი, ხოლო მისი შესრულებული სამუშაოს მომსახურების შემოსავალი გახლავთ 628 462 ლარი.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეული ფინანსური დახმარება მეტწილად მოხმარდა ელექტროენერგიისა და მოწვეული სპეციალისტების მომსახურების ანაზღაურებას. შეძენილ იქნა კლინიკის ლაბორატორიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი აპარატურა - ულტრათანამედროვე ავტომატური ანალიზატორი, ექსპრეს ანალიზატორი კარტრიჯული სისტემა, საშრობი კარადა, ცენტრიფუგა და მიმღები განყოფილებისთვის დეფიბრილატორი.

2021 წლის მანძილზე შპს "მესტიის საავადმყოფო - ამულატორიული გაერთიანების" მიერ მომსახურება გაეწია 20 851 პაციენტს, მათ შორის 332 პაციენტს გაეწია გადაუდებელი სტაციონალური მომსახურება, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება - 1110 პაციენტს, ხოლო გეგმიური ამბულატორიული მომსახურება 19 409 პაციენტს.

სარეაბილიტაციო ცენტრი

2021 წლის განმავლობაში, კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრში 22 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდი სწავლობდა. მათ შორის არიან დაუნის სინდრომის მქონე მოზარდები. სარეაბილიტაციო ცენტრში მოქმედებს თითოეულ მოსწავლეზე მორგებული განვითარების ინდივიდუალური სწავლების გეგმა.

სამეგრელო–ზემო სვანეთის პირველი კომპლექსური სარეაბილიტაციო ცენტრი შშმ პირებისათვის. პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყო ორგანიზაცია „ერთად რეალური ცვლილებებისათვის"

ცენტრში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია მეტყველების თერაპია, ფსიქოლოგის კონსულტაცია, ჩართულები არიან შემეცნებით-განმავითარებელ აქტივობებში, აქვთ კულინარიის დღეები, მათთან მუშაობენ არტ-თერაპევტი, ფიზიოთერაპევტი. ცენტრში აგრეთვე ხელმისაწვდომია სენსორული ოთახი.

როგორც მოგეხსენებათ, ცენტრი დაბა მესტიაში 2019 წელს გაიხსნა და გათვლილია მესტიის მუნიციპალიტეტის საჭიროებებსა და მის გეოგრაფიულ არეალზე - სარეაბილიტაციო ცენტრის ეზოს ერთ-ერთი შენობა სრულად არის ადაპტირებული, რომ საჭიროების შემთხვევაში შორი სოფლიდან ჩამოსულმა მაცხოვრებელმა შეძლოს შენობაში უსასყიდლოდ დარჩენა და 10-დღიანი კურსის მიღება.

ხანდაზმულთა შინმოვლის პროგრამის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მარტოხელა ხანდაზმულებს მიეწოდებათ პირველადი დახმარების მედიკამენტები, საკვები პროდუქტები. მობილურ ჯგუფში არის უმცროსი ექიმი, რომელიც პირველად სამედიცინო მომსახურებას (როგორიცა არის წნევის, სატურაციის, შაქრის განსაზღვრა) უწევს ვიზიტის განხორციელებისას. ცენტრში ასევე ფუნქციონირებს ეტლის მორგებისა და მიწოდების პროგრამა.

სარეაბილიტაციო ცენტრის საქმიანობის ამსახველი ფოტოები

2021 წლის 21 მარტს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ **დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან** დაკავშირებით „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის“ ბენეფიციარებს საჩუქრები გადაეცათ.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს მერიის წარმომადგენლების ვიზიტი სარეაბილიტაციო ცენტრში

სარეაბილიტაციო ცენტრის დაფინანსება 2019 წლიდან იხილეთ დიაგრამა #18-ზე.



მაღალმთიანობა

“მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხთა საბჭოს” მიერ 2021 წელს ჩატარდა 14 სხდომა. შემოსული 175 განცხადებიდან მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა 166 მოქლაქეს, უარი ეთქვა 9 მოქალაქეს. შედეგად მესტიის მუნიციპალიტეტში:

- 1803 - ბენეფიციარი არის 20 %-იანი დანამატით პენსიის მიმღები;
- 389 - ბენეფიციარი 20% დანამატით სოციალური პაკეტის მიმღები;
- 58-მა ბენეფიციარმა მიიღო პირველ და მეორე ბავშვზე 1 წლის განმავლობაში 100 ლარიანი დახმარება;
- 53-მა ბენეფიციარმა მიიღო მესამე და მომდევნო ბავშვზე 2 წლის განმავლობაში 200 ლარიანი დახმარება;
- 358 მოქალაქეზე გაიცა მაღალმთიანობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამასთანავე, **„პირის მესტიის მუნიციპალიტეტში ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“** მიერ, რომელიც 2016 წლიდან საქმიანობს, 2021 წელს განხილული და დადებითად გადაწყვეტილია - 4 საქმე. აღნიშნული კომისიის მიზანს წარმოადგენს მოქალაქეობის არმქონე პირების საქართველოსთან სამართლებრივი კავშირისა და მოქალაქეობის კუთვნილების საკითხის დადგენა.

დასუფთავება

ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა 2021 წელს შეადგინა 1 573 363 ლარი, ათვისებული ბიუჯეტის ოდენობამ კი 1 573 104.82 ლარი (100%). 2021 წლის ბიუჯეტით შერულებული სამუშაოებისა და პროექტების ჩამონათვალი, რომელთათვისაც გამოცხადებულ იქნა ტენდერი - შემდეგია:

- ელექტრონული ტენდერის (NAT210008382) ჩატარების საფუძველზე შეძენილ იქნა **ტრაქტორი** - 92 000 ლარი;
- ელექტრონული ტენდერის (NAT210007125) საფუძველზე შეძენილ იქნა **მისაბმელიანი გადამზიდი სპეც ტექნიკა** - 180 675 ლარი;.
- ელექტრონული ტენდერის (NAT210012127) საფუძველზე შეძენილ იქნა ა(ა)იპ **მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის** მიმდებარე ტერიტორიაზე ეზოს შემოღობვისა და შენობების გადახურვის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 428 694 (ოთას ოცდარვაათას ექვსას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარს, 2021 წელს სამუშაოები შესრულდა შუალედურად და შესრულებული სამუშაოების თანხამ შეადგინა 186 940.37 ლარი. 2022 წლის შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 241 753.63 ლარს.
- ელექტრონული ტენდერის (NAT210015848) საფუძველზე შეძენილ იქნა დაბა მესტიაში, **რუსთაველის ქუჩაზე გზის საყრდენი კედლების მშენებლობის** სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 183 038 ლარს. 2021 წელს სამუშაოები შესრულდა შუალედურად და შესრულებული სამუშაოების თანხამ შეადგინა 74 031.17 ლარი. 2022 წლის დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 109 006.83 ლარს.
- ელექტრონული ტენდერი (NAT210017878) საფუძველზე შეძენილ იქნა დაბა მესტიაში **სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობის სამუშაოები**. ღირებულება შეადგენს 42 013 ლარს, მოცემული სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულდა 2021 წელს, რაც თანხობრივად შეადგენს 34 694.54 ლარს. დარჩენილია შეღებვითი სამუშაოები, რაც 2022 წელს შესრულდება.
- სამსახურის მიერ შესყიდულ იქნა 3 800 ლარის ღირებულების **ბენზო-გენერატორი**.

სტატისტიკური მონაცემები: დასუფთავება და კეთილმოწყობა

დიაგრამა #19. შემოსავლები დასუფთავების მოსაკრებლიდან: 2012-2021 წწ.



დიაგრამა #20. დასუფთავების და კეთილმოწყობის ა(ა)იპ-ის დაფინანსება 2012-2021 წწ.



დიაგრამა #21. დასუფთავებული ფართობის ზრდის დინამიკა წლების მიხედვით (კვ.მ.): 2014-2021 წწ.



დიაგრამა #22. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები, შეძენილი ურნების რაოდენობა: 2013-2020 წწ. (სულ 542)



დიაგრამა #23. ნარჩენების მართვის მომსახურების დაფარვის დინამიკა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით: 2013-2021 წწ.



ცხრილი #4. დასუფთავების სამსახურის მიერ შეძენილი ტექნიკა 2013-2021 წწ.

წელი	დასუფთავების სამსახურის მიერ შეძენილი ტექნიკა: 2013-2021 წწ.
2013	ნაგავშემკრები 1ც. ტრაქტორი 1ც.
2014	-
2015	თვითმცლელი 1ც. ავტომობილი 1ც.
2016	მცირე, ბორტიანი სატვირთო ავტომობილი 1ც.
2017	ნაგავშემკრები 3 ც., კომბინირებული სპეცდანიშნულების დასუფთავების ავტომობილი 1ც.
2018	20 კუბ.მ. მოცულობის თვითმცლელი ავტომობილი 1ც.
2019	ექსკავატორ-დამტვირთველი 1ც.
2020	სატვირთო 1ც. ტრაქტორი 6ც. ბულდოზერი 2ც. თვლიანი სატვირთველი 1ც. უნაგირა საწევარი 1ც. სპეციალიზებული ნახევარმისაბმელი 1ც. მარილმფრქველი და თოვლის საწმენდი 1ც.
2021	მუხლუხა ტრაქტორი 1ც. უნაგირა საწევარი 1ც. სპეციალიზებური ნახევარმისაბმელი 1ც.

ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ახალი შენობის გახსნა

სკოლამდელი აღზრდა

მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დაქვემდებარებაში შედის 24 საბავშვო ბაღი. 2021-2022 სასწავლო წელს დაწესებულებაში დარეგისტრირდა 480 აღსაზრდელი. კოვიდ რეგულაციების გამო შრომის ინსპექციის მიერ მუშაობის უფლება მხოლოდ 15 საბავშვო ბაღს მიეცა.

2022 წელს მუშაობს 17 საბავშვო ბაღი. შესაბამისი შენობების უქონლობის გამო შეჩერებულია ჭუბერის, ლახამის, უშგულის, ცხუმარის, ჭოლაშის ბაღები, ხოლო წყლის პრობლემის გამო - იფარის ბაღი. ბარშის საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს ეცერის საბავშვო ბაღის შენობაში).

აიპის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 1 579 228 ლარს (მ.შ. 2020 წლის ნაშთი: 259 228 ₾). მათ შორის ბავშვთა კვებაზე დაგეგმილი გვქონდა 226 714 ლარი (კვების გეგმიური თანხა გათვლილია ბავშვთა ფაქტიური დასწრების საშუალო რაოდენობაზე).2012 წელს 1 ბავშვზე კვების გეგმიური ხარჯი დღეში 0.6 ლარს შეადგენდა 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 4 ლარამდე გავზარდეთ.

2021 წლის განმავლობაში შეჩერებული საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს ეტაპობრივად გაღავეცით კვების პროდუქტები, თანხით 21 725.51 ლარით.

განათლება და ახალგაზრდობა

უკვე მერვე წელია წარმატებით ვახორციელებთ **“მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელთა თანადაფინანსების”** პროექტს. მომავალი თაობის განათლებაზე ზრუნვაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს, სწორედ ამიტომ შევიმუშავეთ პროგრამა რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა პირველკურსელ სტუდენტთა ოჯახს ვეხმარებით სწავლის საფასურის თანადაფინანსების სახით.

2021 წელს პროგრამის ფარგლებში დავაფინანსეთ **79** სტუდენტი **75 500 ლარით.** 2014 - 2021 წლებში პროგრამის ფარგლებში სულ დაფინანსებულია **600 სტუდენტი.** 2022 წელს ვგეგმავთ აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტის გაზრდას 120 000 ლარამდე, რაც ითვალისწინებს თითოეულ სტუდენტზე ჩასარიცხ თანხას 1500 ლარის ფარგლებში.



➔ **მესტიის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის უნივერსიტეტს** შორის, 2020 წელს, გავაფორმეთ მემორანდუმი, რომლის ფარგლებში ბეჩოს ადმინისტრაციულ ერთეულში გაიხსნა ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრი.

ცენტრის **2021 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 20 000 ლარს,** რომლის ფარგლებშიც **80 ბენეფიციარს** ჩაუტარდა საგანმანათლებლო კურსები და ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით: ინგლისური ენა, ტურიზმი, როგორ ვმართოთ საოჯახო სასტუმრო, ბუღალტერიის საწყისები და ადამიანის უფლებები. **პროექტის მიზანია** პირველ რიგში საწყის ეტაპზე უცხო ენის (ინგლისური ენის) განვითარება ადგილობრივ დონეზე, ტურისტების მოზიდვის და ადგილობრივების დასაქმების ხელშეწყობა.

ბეჩოს ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრი

- 2013 - 2021 წლებში, მესტიის მუნიციპალიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ, პროფესორ გვიად კვიციანის ხელმძღვანელობით ხორციელდება სასწავლო-სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიციები. განხორციელებული სამუშაოების შედეგად გამოვლენილია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები. განხორციელდა თითოეული ობიექტისა და აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ფოტოფიქსაცია, აზომვა, აღწერა და GPS კოორდინატების აღება. ასევე მოხდა ობიექტების რუკაზე დატანა და სააღრიცხვო ბარათების შედგენა (იხ. სლაიდები კულტურიდან 6-7-8):
  - გარდა ამისა, **2017** წლიდან, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ატარებს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების/ობიექტების ინვენტარიზაციას. ამ ეტაპზე მესტიის მუნიციპალიტეტის 10 თემის - **ხაიშის, ჭუბერის, ნაკრის, ლახამულის, ფარის, ცხუმარის, ბეჩოს, წვირმის, იფარის და კალის** ადმინისტრაციულ ერთეულებში **700-მდე კულტურულ-ისტორიული ძეგლია** აღრიცხული.
  - **2022** წელს განსაზღვრულია **იძლიანის** და **უშგულის ადმინისტრაციული ერთეულის** ტერიტორიებზე არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების/ობიექტების ინვენტარიზაცია.

  პროგრამის 2021 წლის ბიუჯეტი გახლდათ 20 000 ლარი.

- მერვე წელია აქტიურად ვთანამშრომლობთ ინოვაციური საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტთან **“ეტალონი”**, რომლის მიზანიც არის ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და წახალისება. პანდემიიდან გამომდინარე 2021 წელს კონკურსი დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა. პროექტის მუნიციპალურ შესარჩევ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 56-მა მოსწავლემ, ხოლო “მესტიის ეტალონი მოსწავლის” ტიტული მიენიჭა **იფარის საჯარო სკოლის X**

კლასის მოსწავლეს, საბა ავალიანს. პროექტის 2021 წლის ბიუჯეტი გახლდათ 3 000 ლარი.

➔ მესტიის მუნიციპალიტეტს გაფორმებული გვაქვს მემორანდუმი **ა.(ა).ი.პ "ზემო სვანეთის განვითარების ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან"** (YOOUSD). მემორანდუმის საფუძველზე, ფინანსური მხარდაჭერითა (2 000 ₾) და აქტიური თანამშრომლობით, ორგანიზაციამ ხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში დაარსა **"სოციალური კაფე"**, რომელსაც ახალგაზრდული სივრცის ფუნქცია აქვს და ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის სამოქალაქო განვითარების მიმართულებით მუშაობს.

კულტურა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან 2021 წელსაც გავაგრძელეთ მჭიდრო თანამშრომლობა. მინისტრის, ქალბატონი თეა წულუკიანის უშუალო ჩართულობით და ხელმძღვანელობით, საანგარიშო წელს, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ:

➔ კალას ადმინისტრაციულ ერთეულში, ხალდეს აჯანყების 145-ე წლისთავთან დაკავშირებით, **სახალხო დღესასწაული "ხალდეობა"** (ყოველწლიური დღესასწაული - 26 ივლისი) დაფუძნდა. ღონისძიებას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მესტიის მუნიციპალიტეტის და ხალდეს აღორძინების ფონდის ორგანიზებით ჩაეყარა საფუძველი.

ხალდეობა 2021

მოგეხსენებათ, სოფელი ხალდე წლების განმავლობაში დაცლილი იყო მოსახლეობისგან, ბოლო წლებში კი არაერთი ოჯახი დაუბრუნდა სოფელში წინაპართა საცხოვრებელ სახლებს - 2021 წელსაც 4 ოჯახი დაბრუნდა სოფელში და დანგრეული სახლები აღადგინა. ეკონომიკის სამინისტროსთან ჩვენი შუამდგომლობითა და ერთობლივი მუშაობით მოეწყო ახალი ელექტროგადამცემი ხაზები და სოფელს უკვე ერთი წელია ელექტროენერგია მიეწოდება. კულტურის სამინისტრო გეგმავს ხალდეში, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, დაიწყოს კონსერვაცია-რესტავრაციის მასშტაბური პროცესი და შექმნას სამუზეუმო სივრცე, რომელიც თავის მხრივ ქართველებისთვის თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლოს წარმოადგენს.

- კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინიციატივით, გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, უშგულის თემში გადაიხურა გეგი ღვაჩლიანის, ბესო ჭელიძის და გაქრო რატიანის **სვანური საგვარეულო კოშკები**.
- XII საუკუნის ხელნაწერზე **ლახამულას ოთხთავზე,** მესტიის მუნიციპალიტეტის ლახამულას თემის გადაწყვეტილებით, სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები ეროვნული არქივის დოკუმენტების რესტავრაციის ლაბორატორიაში 2020 წლის მაისში დაიწყო. სამუშაოები 18 თვეს გაგრძელდა, რომლის დასრულების შემდეგ **ხელნაწერი ისევ სოფელ ლახამულში დაბრუნდა**. აღსანიშნავია, რომ ეტრატზე შესრულებულ ლახამულის ოთხთავს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ოთხთავების გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის შესწავლისათვის. ამ ხელნაწერს არაერთი მინაწერი ახლავს, რომლებიც უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის ლახამულას ხევის სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და რელიგიური ყოფის შესახებ.

ლახამულის ოთხთავი

- სამინისტროს ხელშეწყობით და მესტიის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, ოქტომბერში, დაბა მესტიაში, ჩატარდა **ანსამბლ "ერისიონის"** კონცერტი

ანსამბლ "ერისიონის" კონცერტი მესტიაში, 16 ოქტომბერი 2021

- უშუალოდ მინისტრის, ქალბატონი თეა წულუკიანის ინიციატივით, ნოემბერში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდა ჩვენი ღვაწლმოსილი ქორეოგრაფის **კანდი მერლანის 80 წლის იუბილე**. ღონისძიებაში მონაწილეობდა მესტიის ფოლკლორული ანსამბლი "რიჰო", მესტიის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები, აგრეთვე საუკეთესო კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან;

- როგორც მოგეხსენებათ, მესტიის მუნიციპალიტეტში 2016 წელს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გადაწყვეტილებით და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით, შეიქმნა **სალოტბარო სკოლა**. სალოტბარო სკოლაში 40-მდე მოსწავლე (ასაკი: 6 - 18 წელი) უფასოდ სწავლობს სვანურ ფოლკლორულ სიმღერებს, ფერხულებს, საკრავებს და საეკლესიო გალობას. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინიციატივით და სამინისტროს დაფინანსებით იკერება ნაციონალური სამოსი როგორც ფოლკლორული ანსამბლი "რიჰოს" წევრებისთვის, ასევე სალოტბარო სკოლის მოსწავლეებისთვისაც;

- "საიუბილეო კონცერტი რეგიონებში" პროექტის ფარგლებში, რომელიც სამინისტროს პატრონაჟით განხორციელდა, მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრმა, 23 დეკემბერს,

უმასპინძლა **“ორი ჯუჯას” საიუბილეო კონცერტს**, რომელზეც დასწრება თავისუფალი გახლდათ.

ასევე:

- ➔ დავაფინანსეთ პოეტ ანა უშხვანის ლექსების ბეჭდვა (2275 ₾)..
- ➔ მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი “წიგნის ქურდი”, პროექტისთვის შევიძინეთ 300 ლარის ღირებულების წიგნები.
- ➔ მასწავლებელთა აღიარების რეგიონული კონკურსის გამარჯვებულს, იელის სკოლის პედაგოგი, ლელა ცარციძე დავასაჩუქრეთ პატრიარქის ოთხტომეულით (ღირებულება 500 ₾).
- ➔ სვანეთის მუზეუმის წიგნები საჩუქრად გადავეცით ლატალის თემში არსებულ ორგანიზაციას “ლატლიშდ”.

ა.(ა).ი.პ. “მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის” 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენდა 760 000 ლარს.

მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით - გეგმავს და ორგანიზებას უწევს კულტურულ-შემეცნებით, ასევე თეატრალურ/მხატვრულ ღონისძიებებსა თუ კინოჩვენებებს.

- ➔ 5 იანვარს საფუძველი ჩაეყარა ონლაინ გადაცემათა სერიას სახელწოდებით **“სვანური ენის ქრესტომათია”**, რომელიც მოიცავდა სოციალურ ქსელ Facebook-ში მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრის გვერდზე, სვანური ტრადიციების, ადათ-წესების, დღესასწაულების, მითების და ლეგენდების შესახებ ონლაინ საუბრებს მოწვეულ სტუმრებთან ერთად;
- ➔ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებით გამოიცა **ევა მარგიანის პიესა “ბეთქილ”** (წიგნი მოიცავს დისკს სადაც შესულია სპექტაკლის მუსიკები; ეგზემპლიარი: 500 ცალი; ბიუჯეტი: 4 500 ₾);
- ➔ **3 მარტს, დედის დღესთან** დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით შერჩეულ იქნა 14 მრავალშვილიანი სოციალურად აქტიური დედა, მათ შორის მესტიის კახა ფალიანის სახელობის არეაბილიტაციო ცენტრის აღმზრდელები და პედაგოგები, რომელთაც გადაეცათ საჩუქრები (ბიუჯეტი: 1735 ₾);
- ➔ 22 მაისს, საზეიმოდ გაიხსნა ახლადრეაბილიტირებული **ჭუბერის ბორის კახიანის სახელობის კულტურის ცენტრი**, გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა ცენტრთან არსებული ანსამბლი “ნენსკრა” და “რიჰო”, ასევე ნაჩვენები იყო სპარტაკ ფარჯიანის დოკუმენტური ფილმი “ხოჩა მაარე”;
- ➔ მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრის თეატრალური სტუდიის და ანსამბლ “რიჰოს” ბაზაზე დაიდგა **თოჯინების სპექტაკლი “უშბა და თეთნულდი”** (სპექტაკლის ბიუჯეტი: 7700 ₾), რომლის პრემიერა, საზეიმოდ, 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს გაიმართა.
- ➔ 2021 წლის 29 ივლისს ჩატარდა ტრადიციად ქცეული **ფესტივალი “სვანეთობა”**. ფესტივალის ფარგლებში სეტის სკვერში გაიმართა ტრადიციული სვანური სამზარეულოსა და ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა. გამოფენის ფარგლებში გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ადმინისტრაციული ერთეულები (ბიუჯეტი: 15 000 ₾);

ფესტივალი “სვანეთობა”, 29 ივლისი 2021

2021 წელს, მესტიის მუნიციპალიტეტში, თეატრალური აფიშა დახუნძლული იყო საქართველოს სხვადასხვა ცნობილი თეატრის სპექტაკლებით - სპექტაკლებს მასპინძლობდა როგორც მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, ასევე ჭუბერის ახლადგახსნილი ბორის კახიანის სახელობის კულტურის ცენტრი.

- 10 მარტიდან განახლდა სპექტაკლი **“ბეთქილ”** და მთელი წლის განმავლობაში თხუთმეტჯერ გაიმართა. შეგახსენებთ, რომ სპექტაკლის პრემიერა გაიმართა 2020 წელს და ეს გახლავთ პირველი სპექტაკლი, რომელიც მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის განახლების შემდეგ სვანეთში პირველად დაიდგა. აღნიშნული სპექტაკლისთვის ცენტრმა მოიპოვა კულტურის სამინისტროს გრანტი (15 350 ₾), ხოლო თანამონაწილეობის თანხა გალდათ 9 500 ₾; სპექტაკლის რეჟისორი: კახა ბაკურაძე, კომპოზიტორი: სანდრო ნიკოლაძე. თავდაპირველად სპექტაკლში თამაშობდა 5 მოწვეული მსახიობი, რომლებიც დღეს უკვე ადგილობრივი მსახიობებით ჩანაცვლდნენ;
- 28 აპრილი - პრემიერა **“სტუმარ-მასპინძელი”**, დამდგმელი რეჟისორი ვახო ჩაჩანიძე. პერფორმანსი განხორციელდა ორმაგი პროექციით, კინო და ქვიშის მხატვრობა და ცოცხალი გახმოვანება (ბიუჯეტი: **34860** ₾);
- 12 ივლისი (მესტია) - 14 ივლისი (ჭუბერი) - სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა თეატრი სპექტაკლით **“ბრემენელი მუსიკოსები”;**
- "30 - 31 ივლისი - **რუსთაველის თეატრი** რობერტ სტურუას სპექტაკლით **“ჯილდო?”**
- 12 აგვისტო - მესხეთის თეატრი სპექტაკლით **“ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს”**;
- 26 (დაბა მესტია) - 28 (ჭუბერი) სექტემბერი - ოზურგეთის თეატრი სპექტაკლებით **“ფიროსმანი”** და **“მთავარი როლი”**;
- 29 - 30 სექტემბერი - **კოტე მარჯანიშვილის** სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი სპექტაკლებით **“ჟოლო”** და **“დანაშაული და სასჯელი”** (ბიუჯეტი: 10 000 ₾);
- 8 დეკემბერი (ჭუბერი) - სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა თეატრი სპექტაკლით **“გამარჯობა სოხუმო”**;

გარდა იმისა რომ მუნიციპალიტეტში ვმასპინძლობდით სხვადასხვა თეატრს, მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა “სვანური კულტურის დღეები დედაქალაქში” - 11 - 14 სექტემბერი:

- ➔ სპექტაკლი "სტუმარ-მასპინძელი" - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ-მაყურებელთა თეატრი;
- ➔ სპექტაკლი "ბეთქილ" - კახა ბაკურაძის თეატრი.

სპექტაკლი "ბეთქილი" *სპექტაკლი "უშბა და თეთნულდი"*

2021 წლის განმავლობაში მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრი, ასევე, მასპინძლობდა სხვადასხვა გამოფენას:

- ➔ XX საუკუნის სვანი მხატვრების **ძმები ფარჯიანების, ლეო ხოჯელანის და შაკო შუკვანის** ნახატების გამოფენა - აგვისტო;
- ➔ **"BRA-ILIANT ART PROJEQT"** ძუძუს კიბოს პრევენციისადმი მიძღვნილი SAMAIA-K-ს გამოფენა - ნოემბერი;

მესტიის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით და თანადაფინანსებით (თანადაფინანსების თანხა: 18 000₾), კულტურის და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით დაფუძნდა **მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების N1 საერთაშორისო ფესტივალი** (15 - 20 სექტემბერი).

მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების ფესტივალი, 15-19 სექტემბერი 2021. ქვედა მარჯვენა ფოტოზე ხელავთ ფესტივალის პრიზებს, მათ შორის მიხეილ ხერგიანის თოკს, რომელიც გადაეცა მთის თემატიკაში საუკეთესო ფილმს - "K2 და უხილავი მთამსვლელები" (პაკისტანი/აშშ)

მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის **კინოთეატრში 4 სექტემბერს განახლდა კინოჩვენებები** რომელიც წინასწარ გაწერილი გრაფიკით წლის ბოლომდე გაგრძელდა.

31 ოქტომბერი - მესტიის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი **"რიჰოს"** და ლატვიური ნაციონალური ჯგუფის **"Sandras kundzītes"-ს** ერთობლივი კონცერტი კულტურისა და ხელოვნების ცენტრში.

24 დეკემბერი - დაბა მესტიის ცენტრში ჩატარდა საშობაო ღონისძიება **"საახალწლო ქარავანი"** - ადგილობრივი ანსამბლების ("რიჰო", "ნენსკრა") ფოლკლორულ კონცერის, თოვლის ბაბუა საჩუქრებით, ელფებითა და მოსიარულე მხიარული მუსიკოსებით, საშობაო ბაზრობა - გაპრულ სახლებში, ხელნაკეთი ნივთებითა და გემრიელი პროდუქტებით, დასკვნითი კონცერტი - ნოდარიკო ხუციშვილის ბენდი და გრანდიოზული ფეიერვერკი.

საახალწლო ღონისძიებები, საახალწლო ქარავანი, 24 დეკემბერი 2021

31 დეკემბერი - ტრადიციულ **საახალწლო ღონისძიებაში** მონაწილეობდნენ ადგილობრივი თუ მოწვეული ანსამბლები, თოვლის ბაბუა საჩუქრებით, ღონისძიება დასრულდა ელექტრონული მუსიკით და ფეიერვერკით (ბიუჯეტი: 10 806.46 ₾).

მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრში ჩატარებული ღონისძიებიდან ბილეთების რეალიზაციიდან და სხვა შემსოულობებიდან თანხამ შეადგინა 18 498.95 ₾.

სპორტი

2021 წელს, ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტული ცენტრში (ჭოლაში, მულახი) არსებული საცოცი კედელი ამერიკული, საერთაშორისო თანამედროვე სტანდარტების მქონე სერთიფიცირებული აღჭურვილობით (ღირებულება - 45 000 ₾) მოეწყო. აქამდე ახალგაზრდებს არ ჰქონდათ საშუალება სრულად აღჭურვილი სწრაფი ცოცვისთვის განკუთვნილი კედლით ესარგებლათ. დღეისთვის კი უკვე გვაქვს შესაძლებლობა ჩვენი სპორტსმენები მოვამზადოთ არა მხოლოდ ადგილობრივი ტურნირებისთვის, არამედ მსოფლიო და 2024 წლის პარიზის ოლიპიადისთვისაც.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების ინიციატივით, მესტიის მუნიციპალიტეტი, 2014 წლიდან, ორგანიზებას უწევს ISAF-ის მისიაში გმირულად დაღუპული მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ქვეითი ბატალიონის, სამხედრო მოსამსახურის, უფროსი ლეიტენანტის, **მუხრან შუკვანის სახელობის გარდამავალი თასის ყოველწლიურ ტურნირს მინი ფეხბურთში**. ტურნირში მონაწილეობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის გუნდები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის გუნდი და მესტიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულის გუნდები. პროექტის 2021 წლის ბიუჯეტი: 4200 ₾.

მიხეილ ხერგიანის მემორიალის ბიუჯეტი: 9 000 ₾

მიხეილ ხერგიანის მემორიალური ტურნიკი მეკლდეურობაში: დაჯილდოვება (24-27 ოქტომბერი 2021)

2015 წლიდან, საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტში ხორციელდება **საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა**. ოლიმპიადაში მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული საჯარო და კერძო სკოლები. პროექტის მიზანი ქართული სპორტის ისტორიისა და ოლიმპიზმის პოპულარიზაცია გახლავთ. **2021 წლის ბიუჯეტი: 5000 ლარი. ბენეფიციართა რაოდენობა: 120 მოსწავლე.**

ცხრილი #5-1. 2021 წელს სვანი სპორტსმენების მიღწევები:

კრივი	**მეკლდეურობა**	**ჭიდაობა/ძიუდო**	**სამბო**
სულ საპრიზო - 10 (გოგო - 1)	სულ საპრიზო - 18 (გოგო - 8)	სულ საპრიზო - 34	სულ საპრიზო - 2
I ადგილი - 1	I ადგილი - 8 (4)	I ადგილი - 7	
II ადგილი - 6	II ადგილი - 7 (3)	II ადგილი - 11	II ადგილი - 1
III ადგილი - 3	III ადგილი - 3 (1)	III ადგილი - 16	III ადგილი - 1
4 შეჯიბრი	3 ტურნირი	5 შეჯიბრი	

ცხრილი #5-2: სპორტსმენები რომლებიც 2021 წელს გახდენ საქართველოს ნაკრების წევრები:

მეკლდეურობა	**კრივი**
ბერდია მერლანი (ლენჯერი)	ბექა წერედიანი (ლატალი)
გიორგი ჯაფარიძე (მესტია)	დავით მუშკუდიანი (მესტია)
ნიკა იოსელიანი (მულახი)	საბა მჭედლიანი (მესტია)
სამბო	ნიკოლოზ მარგიანი (მესტია)
გიორგი ჟორჟოლიანი (მულახი)	ნინო კვიციანი (ბეჩო)
ირაკლი ფარჯიანი (ლატალი)	

ასევე:

- ➔ საყოველთაო მასობრივ საფეხბურთო ჩემპიონატში “MASTER LEAGUE” 2021 წელს მონაწილეობა მიიღო მესტიის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის გუნდმა. გუნდის ტრანსპორტირება უზრუნველყო მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ 200 (ორასი) ლიტრი საწვავით.

- 2021 წელს, ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატებულ ძიუდოისტს მიხეილ ჯაფარიძეს, რომელმაც, ნოემბრის თვეში, ბაქოს (აზერბაიჯანი) გრან სლემში მიიღო მონაწილეობა, გავუწიეთ თანადაფინანსება 1 000 ლარის ოდენობით.
- ფინეთში, ქალაქ პიუხტაში, დეკემბრის თვეში გამართულ ჭიდაობა მას-რესლინგში მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა, ასევე, 1000 ლარით დავუფინანსეთ დავით ზუმაძეს.

ტურიზმი

მოგეხსენებათ, 2020 წელს გლობალური პანდემიის გავრცელებამ ხელი შეუშალა მსოფლიოში ტურისტულ მოგზაურობებსა და დაგეგმილ ღონისძიებებს. პანდემიამ დიდი პრობლემები შეუქმნა ტურიზმის სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს. თუმცა, 2021 წელს საზღვრების გახსნამ და საჰაერო ფრენების აღდგენამ ტურიზმი ნელ-ნელა დაუბრუნა ჩვეულ რიტმს.

მესტიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს უმნიშვნელოვანესი ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტი **- ჰაწვალის თანამედროვე და გაუმჯობესებული საბაგირო გაიხსნა.** აღსანიშნავია, რომ **საბაგიროს მშენებლობაში ცენტრალური ბიუჯეტიდან დაიხარჯა 7 500 000 ლარი.**

ჰაწვალის ახალი საბაგირო კომპლექსი გაიხსნა 2021 დეკემბერში

ახალ სეზონზე მესტიის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა წინა ორ წელთან შედარებით მეტი რაოდენობით სტუმრებს. მესტიაში 2021 წლის მანძილზე გაიხსნა ერთი მოცულობითი სასტუმრო.

მიუხედავად ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა, 2021 წლის 11–13 მაისს, ქალაქ კიევში, **მესტიის მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო უკრაინის 26-ე საერთაშორისო სამოგზაურო და ტურისტულ გამოფენაზე "PREMIER EXPO".** მესტიის მუნიციპალიტეტი გამოფენაზე წარადგინა

დანიშნულების მართვის ორგანიზაცია (დმო) „შან ლენდმა“. დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია „შან ლენდი“ დაარსებულია მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების მიერ. ა.(ა).ი.პ „შან ლენდის“ მიზანს წარმოადგენს ტურისტული კერძო სექტორის გაერთიანება და გაძლიერება, ტურისტული პროდუქტისა და სერვისის გაუმჯობესება ზემო და ქვემო სვანეთში.

„შან ლენდის“ ორგანიზებით და GRETA-ს (ავსტრიის განვითარების სააგენტოს პროექტი „გრეტა/მწვანე ეკონომიკა: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“) ფინანსური მხარდაჭერით მესტიის მუნიციპალიტეტმა გამოფენაზე წარადგინა მუნიციპალიტეტის ტურისტული პროდუქტი და შესაძლებლობები. ასევე გამოფენის ფარგლებში საკონფერენციო დარბაზში დაინტერესებული პირებისთვის ჩატარდა პრეზენტაცია სვანეთის ტურისტული მარშრუტების, კულტურული მემკვიდრეობისა და სვანური ტრადიციების შესახებ. პრეზენტაცია მოიცავდა ასევე იმ წესებისა და პროცედურების გაცნობას, რომლებიც საქართველოში ტურისტებისთვის მოქმედებს COVID19 პანდემიასთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე.

მოგახსენებთ, რომ ევროკავშირი, შვედეთისა და ავსტრიის დაფინანსებით განხორციელდა პროექტი გრეტა: „მწვანე ეკონომიკა, მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“, ასევე მესტიისა და ლენტეხის DMO (დანიშნულების მართვის ორგანიზაცია)- „შან ლენდ“-ის დაკვეთით პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ტურისტული „ბრენდინგის“ დოკუმენტისა და ლოგოს შექმნას, ლენტეხისა და მესტიის მუნიციპალიტეტებისთვის.

უკრაინის 26-ე საერთაშორისო სამოგზაურო და ტურისტული გამოფენა “PREMIER EXPO”, 11-13 მაისი 2021

უკრაინის 26-ე საერთაშორისო სამოგზაურო და ტურისტული გამოფენა “PREMIER EXPO”, 11-13 მაისი 2021

უკრაინის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა განკუთვნილია ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისათვის. გამოფენა ერთმანეთს აცნობს და აკავშირებს სხვადასხვა ქვეყნის ტურისტულ ორგანიზაციებს მომავალი ურთიერთთანამშრომლობის მიზნით.

გამოფენაზე მონაწილეობას იღებდა 13 ქვეყნის 150-ზე მეტი წარმომადგენელი, მათ შორის ტურისტული და საექსკურსიო სააგენტოები, ტურ-ოპერატორები, სადაზღვეო ორგანიზაციები, ტურისტული სფეროს IT ტექნოლოგიები, სასტუმროები, ავიაკომპანიები და ტურიზმის ეროვნული სააგენტოები.

მესტიის მუნიციპალიტეტის საგამოფენო სტენდი წარმოადგენდა სვანური ტრადიციული საცხოვრებელი სახლის „მაჩუბის“ იმიტაციას. მესტიის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლის „რიჰოს“ ხელმძღვანელი დამთვალიერებელს აცნობდა სვანურ ტრადიციულ სიმღერებსა და ინსტრუმენტებს - ჩანგსა და ჭუნირს. სტენდის სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ სიმბოლური სუვენირები, სვანური მარილი, სვანური ქუდი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო წიგნები სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ექსპონატების/საგანძურის შესახებ.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები:

24 ნოემბერს, საერთაშორისო სამთო გამყოლთა კონგრესის ფარგლებში, კურორტ შამონიში, კენჭისყრის შედეგად, “საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია” (GMGA) Georgian Mountain Guides ოფიციალურად გახდა **“სამთო გამყოლთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის წევრი” (IFMGA)**. აღნიშნული ფედერაცია 22 ქვეყნის 6000-მდე სამთო გამყოლს აერთიანებს მსოფლიო მასშტაბით. დღეიდან, საქართველოს სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მიერ სერტიფიცირებული სამთო გამყოლი, ავტომატურად ხდება საერთაშორისოდ აღიარებული და სერტიფიცირებული გიდი. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან გამგზავრებული სამთო გამყოლი გიდებიდან უმეტესობა სვანეთის მკვიდრია.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „ემ თი ეი“-ს და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) შორის 2019 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში USAID – s მხარდაჭერით და დაფინანსებით 2021 წლის მარტში განხორციელდა პროექტი „ფრირაიდის ტრენინგი, ღონისძიებების მართვა და უსაფრთხოების ტრენინგ კურსი“, რაც მოიცავდა **საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე მსოფლიო საკვალიფიკაციო შეჯიბრის (FWQ) ჩატარებისთვის საერთაშორისო ექსპერტების მიერ მთის კურორტებზე ადგილის შესწავლასა და სამაშველო გუნდის გადამზადებას.** აღნიშნული პროექტი საქართველოში პირველი **ფრირაიდის მსოფლიო საკვალიფიკაციო ტურის** ჩატარების წინაპირობა და მოსამზადებელი ეტაპი იყო. შედეგად, 2021 – 2022 წლების ზამთრის სეზონზე (8-12 თებერვალს) შპს „ემ თი ეი“-მ, USAID-ის მხარდაჭერით და ფრანგული კომპანიების CDA Management/Evolution2 პარტნიორობით **კურორტ თეთნულდზე ჩატარდა ფრირაიდის 2* და 4* კატეგორიის შეჯიბრი, რაც ხარისხობრივად ახალი სიტყვაა მესტიის განვითარებაში და უზარმაზარი წინ გადადგმული ნაბიჯია სვანეთის სამთო სათხილამურო ტურიზმის წინსვლისთვის.** მესტიის მუნიციპალიტეტის მერია და დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია „შან ლენდი“ ფრირაიდის პირველი მსოფლიო საკვალიფიკაციო ეტაპების მხარდამჭერები და თანაორგანიზატორები იყვნენ.

კურორტ თეთნულდზე ფრირაიდის (Freeride) მსოფლიო ტურის საკვალიფიკაციო (FWQ) ეტაპი

ფრირაიდის მსოფლიო ტურის ბროშურა და დაჯილდოვების ცერემონიალი

ადმინისტრაცია

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებამ 2021 წლის განმავლობაში დაარეგისტრირა 7797 კორესპონდენცია, რომელთაგან 34% გახლავთ მოქალაქეებისგან შემოსული, 28% გახლავთ სხვადასხვა ორგანიზაციიდან შემოსული, 37% კი გახლავთ ცენტრალური მთავრობიდან და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის სამხარეო ადმინისტრაციიდან შემოსული. ცენტრალური მთავრობიდან მიღებულია 36 სამართლებრივი აქტი. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან 21 წერილი და 50 სამართლებრივი აქტი. მერიის სამსახურების მიერ გაგზავნილ კორესპონდენციათა რაოდენობა იყო 1258. 2021 წელს სამსახურის მიერ მომზადდა მერის ბრძანების 448 (მათგან 312 საკადრო საკითხებზე) პროექტი, გაიცა 32 მინდობილობა, გაფორმდა 12 ადმინისტრაციული და 20 შრომითი ხელშეკრულება.

2021 წელს (აგვისტო-დეკემბრის ინტერვალში) სსიპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით და ადმინისტრაციული სამსახურის უშუალო ჩართულობით, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში დაინერგა ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის შემდეგი მოდულები: დოკუმენტბრუნვა, კანცელარია, ადამიანური რესურსების მართვა, ინფრასტრუქტურა, იდეა მერს და მოქალაქეთა ელექტრონული (Online) დახმარება, რომელთაგან ამ ეტაპზე ორგანიზაციის მიერ აქტიურად გამოიყენება: დოკუმენტბრუნვა, კანცელარია და ადამიანური რესურსების მართვა, ხოლო დანარჩენი მოდულების გააქტიურების მიზნით შესაბამისი სამსახურების მიერ გასაწევია მეტი ძალისხმევა, მათ შორის საზოგადოების ინფორმირება იმ შესაძლებლობების

შესახებ, რომელსაც მუნიციპალიტეტში აღნიშნული ელექტრონული მომსახურებების არსებობა აჩენს, მოქალაქეთათვის. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზე ვერ განხორციელდა ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისა და მათი დამხმარე სპეციალისტების, ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში ჩართვა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და უწყვეტი ინტერნეტის წყაროს უქონლობის გამო.

დიაგრამა #25. 2021 წელს მერიაში შემოსულ კორესპონდენციათა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით



დიაგრამა #26. მერიაში შემოსული კორესპონდენციების რაოდენობა: 2013-2021 წწ.



2021 წელს მერიაში გამოცხადდა და ორგანიზება გაეწია, საჯარო მოხელეთა შესარჩევ 3 კონკურსს, რომელთა საფუძველზე დაინიშნა 3 საჯარო მოხელე. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ დაორგანიზდა სავალდებულო პროფესიული ტერნინგი 12 მოხელისთვის. მთელი წლის მანძილზე, მოხელეები ერთვებოდნენ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დისტანციურ ფორმატში ორგანიზებულ, სხვადასხვა შინაარსის (მართვა და ლიდერობა საჯარო სამსახურში,

ციფრული უსაფრთხოების სტანდარტები, მოხელეთა შეფასების მნიშვნელობა და სტანდარტები, თვითშეფასების მნიშვნელობა) ფორუმებში.

შიდა აუდიტი

2021 წლის განმავლობაში შიდა აუდიტის სამსახურმა შეცვალა დებულება და წლის სამოქმედო გეგმა დააკორექტირა საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ: დაკორექტირდა შესამოწმებელი ობიექტების რაოდენობა, ნაცვლად 9 ობიექტისა განისაზღვრა 4 ობიექტი და ამ 4 ობიექტიდან აუდიტი განხორციელდა 2 ობიექტში.

შიდა აუდიტის სამსახური რისკზე ორიენტირებული მიდგომით ახორციელებს მარწმუნებელ და საკონსულტაციო საქმიანობას და ამგვარად, ხელს უწყობს მერიის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. მისი მიზანია აუდიტორული საქმიანობის განხორციელების გზით:

- უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის კანონიერებისა და მიღწეული მიზნების შეფასება;
- განვითარდეს პროფესიულად და ინსტიტუციურად.

2021 წელს მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის პროგრამების ეფექტიანობის აუდიტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი კომისიის მიერ, "მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამის" ფარგლებში განხორციელებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების და სამედიცინო (ფინანსური) მხარდაჭერის ფუნქციონირების ეკონომიურობის და ეფექტიანობის შეფასება, შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები არსებული რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

ასევე, სამსახურმა განახორციელა შესყიდვების სამსახურის სისტემური აუდიტი - არსებული კონტროლის მექანიზმებით ადეკვატური და სრულყოფილი შედეგების მიღების, რეგულაციებთან შესაბამისობის და სანდოობის შეფასება.

შიდა აუდიტის მიერ გამოვლენილია ნაკლოვანებები, გამომწვევი მიზეზები და შედეგები, რაზეც გაცემულია რეკომენდაციები. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს არ განხორციელებულა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, თუმცა ზემოაღნიშნული პროცესი გაწერილია 2022 წლის სამოქმედო გეგმაში.

სტატისტიკა

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სტატისტიკური მონაცემების ბაზა მოიცავს მოსახლეობის დემოგრაფიულ განაწილებას ასაკობრივი ჭრილში, კომლთა რაოდენობის, მიგრაციის, უმუშევართა და დასაქმებულთა რაოდენობის, პენსიონერთა, ვეტერანთა, უმაღლესი განათლების და პროფესიული განათლების მქონე პირთა რაოდენობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, სოციალურად დაუცველი ოჯახების, მრავალშვილიანი ოჯახების, უსახლკაროთა და მარჩენალდაკარგულ ოჯახთა რაოდენობებს და ა. შ.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია, აღვნიშნავთ უკუმიგრაციის დადებით დინამიკას: 2012-2021 წლებში მესტიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულს ჯამში დაუბრუნდა 109 ოჯახი. ემიგრაციის მაჩვენებელია 19, ხოლო **მიგრაციის სალდო უდრის 90-ს.**





ცხრილი #6. მესტიის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მონაცემები

მესტიის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მონაცემები (2021 წლის)					
N	**კატეგორია**	**2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით**	**ქალი**	**კაცი**	**საქ. სტატის 2014 წლის მონაცემები**
1	მოსახლეობის რაოდენობა	**11500**	5865	5635	9316
2	კომლთა რაოდენობა	**3391**			
3	ბავშვთა რაოდენობა 0-დან 18 წლამდე	**2919**	1445	1474	
4	შრომის უნარიანი მოსახლეობა: დასაქმებულთა რაოდენობა: **მათ შორის:** 1. საჯარო სამსახური 2. კერძო სტრუქტურა 3. სულ დასაქმებულთა რა-ბა 4. უმუშევართა რაოდენობა	**6481** **1927** **1003** **862** **1927** **3279**	3245 1061 549 436 1061 1613	3236 866 454 426 866 1666	 - -
5	პენსიონერები	**2100**	1190	910	

მ ე ს ტ ი ა